„თამაშის ფორმები და მათი მნიშვნელობა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში“

სოციალური პედაგოგის მარგარეტ ბლანკ-მეთიუს ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო გამოადგება ნებისმიერ ადამიანს, ვინც ბავშვის ადრეული განვითარებით არის დაინტერესებული. ავტორი დიდი ხნის განმავლობაში ბაღის აღმზრდელად მუშობდა, სახელმძღვანელოში აღწერილია: თამაშის ფორმები, მათი მნიშვნელობა, აღმზრდელის როლი, გარემოს მოწყობა და სხვა. ავტორი, როგორც პრაქტიკოსი ძალიან კარგად აღწერს ბაღში არსებულ პრობლემებს, გვთავაზობს მათი გადაჭრის გზებს და ბოლო ნაწილს მთლიანად ბაღის აღმზრდელებს, მათ როლს და პრაქტიკულ რჩევებს უთმობს.

თამაშის ფორმები და მათი მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროცესში

ხშირად უფროსები ბავშვის თამაშს შემდეგი სიტყვებით აღწერენ „ისინი მხოლოდ თამაშობენ“ ან „ბავშვის საქმე თამაშია.“ არც ერთი და არც მეორე გამონათქვამი არ შეესაბამება „თამაშის“ ნამდვილ დანიშნულებას. ბავშვების დაკვირვება თამაშის დროს განსაკუთრებული გამოცდილებაა. თამაშის დროს, ბავშვები კონცენტრირებული არიან და ყველაფერი ავიწყდებათ რაც მათ გარშემო ხდება. მაგალითად, როდესაც ისინი უფროსებთან ერთად მაგიდას უსხდებიან, ბეზრდებათ მათი საუბრის მოსმენა, უფრო მაგიდაზე დალაგებული ნივთებით ინტერესებიან: ჩანგლით, კოვზით ან დანით იწყებენ თამაშს ან ხელსახოცისგან „ქმინან“ სხვადსხვა ფიგურებს. მათ თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ თამაშის მოფიქრება და ხშირად სულაც არ არის საჭირო, რომ უფროსმა სათამაშო გარემო, თავისი გემოვნებით მოუწყოს.

ხშირ შემთხვევაში უფროსები საკუთარი ფანტაზიით უწყობენ ბავშვებს სათამაშო გარემოს, ისე, რომ არც კი აკვირდებიან იმას თუ სად და რით თამაშობენ ბავშვები მათი ჩარევის გარეშე. მაგალითად სხვენი ბევრი ყუთით, ან სარდაფი სხვადსხვა „საინტერესო“ ნივთით და დიდი ძველი კიბით შეიძლება ბევრად უფრო მომხიბლველი იყოს ბავშვებისთვის, ვიდრე უფროსის მიერ მოწყობილი სათამაშო ოთახი. ბავშვების

დაკვირვება, მაშინ როდესაც ისინი მარტო, დამოუკიდებლად თამაშობენ, გვაძლევს სწორად დაგეგმვის საშუალბას. როდესაც ბავშვებისთვის სათამაშო სივრცეებს (ცენტრებს) ვქმნით, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ მათთვის მომხიბლელი და საინტერესო ადგილები, საგნები და ნივთები.

თამაშის ფორმები და მათი მნიშვნელობა სააღმზრდელო/საგანმანათლებლო პროცესში

თამაში - სავარჯიშოები

შეგრძნების ყველა ორგანოთი მიღებული გამოცდილება, რომელიც განმეორებადია, შემეცნებისა და სწავლის საფუძველს წარმოადგენს და ჩვილობიდან იწყება. როდესაც ჩვილებსა და პატრა ბავშვებს ვაკვირდებით, ვხედავთ რომ მათთვის გამეორება და ვარჯიში სახალისოა.

ექსპერიმენტებით/(ცდებით) შესაძლებელია მრავალფეროვანი გამოცდილების მიღება. შეგრძნებებით მიღებულ გამოცდილებებს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვის განვითრებაში: როგორი ფაქტურა აქვს ამათუიმ საგანს; როგორ შევიგრძნობ მას, როცა მეხება; როგორი ხმა აქვს; როგორ გამოიყურება?

შეგრძნებით მიღებული გამოცდილება	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
მუსიკის, ხმაურის, ხმების მოსმენა	სმენითი აღქმა; ჰარმონიისა და დისჰარმონიის შეგრძნების განვითარება	მუცლად ყოფნის პერიოდიდან
ბუნებრივი მოვლენების, სახეების, ფერების, სურათების, ნაჭრების ფაქტურის დათვალიერება/დაკვირვება	მხედველობითი აღქმა; ფერების, ფორმების, შეგრძნებების განვითარება	დაბადების პირველივე დღიდან
ხელებითა და ფეხებით ფუმფულა სათამაშოების, საბნის/ზეწარის და სხვა	ტაქტილური აღქმა; სხვადსხვა ფერითა და ფორმით განსხვავებული ფაქტურის მქონე	დაბადებიდან

ნებისმიერი საგნის შეხება	საგნების შემეცნება	
როგორი გემო აქვს ჩემს საბანს, ჩემს ბურთს, წიგნს, ქვიშას და სხვა.	გემოს შეგრძნება; სხვადასხვა გემოს დასწავლა: ტკბილი, მჟავე, რბილი, მყარი და ა.შ. „რომელი მომწონს მე?“ გემოვნების ჩამოყალიბება	დაბადებიდან

შეგრძნების ორგანოებით მიღებული გამოცდილებები და აქედან მიღებული გრძნობები/ემოციები ერთმანეთს ერწყმის, რის შედეგადაც ჩნდება „ცოდნა“ საგნებისა და ადამიანების შესახებ. ეს „ცოდნა“ საწყის ეტაპზე ძალიან ზოგადია. თანდათანობით ბავშვები სწავლობენ თითოეული შეგრძნების იდენტიფიცირებას და მეტყველებით მათ გამოხატვას.

შეგრძნების ყველა ორგანოთი შემეცნება ძალიან ადრე იწყება და არასოდეს მთავრდება. რაც უფრო მეტად წავახალისებთ ინფორმაციის მიწოდებას შეგრძნების ორგანოებით, მით უფრო მძაფრი იქნება სრული აღქმა. შეგრძნების ორგანოებით მიღებული გამოცდილება აერთიანებს ჩვენს გრძნობათა სამყაროს შემეცნებით სამყაროსთან.

მრავალფეროვანი სენსორული გამოცდილება, ბავშვებს იმ საბაზისო ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს, რომელიც აუცილებელია მათი მომავალი განვითარებისთვის.

თამაშები სხვადასხვა ფაქტურით / თამაში - ექსპერიმენტები

სხვადასხვა ფაქტურის მქონე ნივთებით თამაშისას, ბავშვები ფიზიკური კანონზომიერებების შემეცნებას იწყებენ. პროცესებს შორის კავშირების აღმოჩენა თამაშის საშუალებით ხერხდება. თამაში/ექსპერიმენტები ბავშვების ცნობისმოყვარეობის და აქტივობის მოთხოვნილებით არის გამოწვეული. ესეთი ტიპის თამაშები საკმაოდ არდეულ ასაკში იწყება, თუმცა ბავშვები ამ გამოცდილებების გაზიარებას მხოლოდ მეტყველების განვითარების შემდეგ ახერხებენ.

მატერიებით/ფაქტურებით თამაში	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა**

		ენიჭება
ქვიშა, თიხა, წყალი, თოვლი, ყინული, მიწა, ქარი, საპნის ბუშტები, მაგნიტი. ფოთლები, გირჩები, ტოტები.	ამ დროს სამყარო ყველა შეგრძნების ორგანოთი აღიქმება, და მეხსიერებაში ცოდნის საფუძველს ქმნის	1 წლიდან
სხვადასხვა მატერიებით/ფაქტურით თამაში, რაც ამათუიმ მოვლენათა შორის კავშირების დამყარებას უწყობს ხელს. მაგ. ჭურჭლის წყლით გავსება, ქვიშის ყუთის დაცლა, ბუმბულის იატაკზე დაშვება	ფიზიკური კანონზომიერებების აღმოჩენა ხდება თამაშით. მაგ: დაქანებული ზედაპირი, რომელზეც რაიმე საგანი გორავს. (დედამიწის მიზიდულობა) რა არის დიდი, რა პატარა; რომელი საგანი რომელში შეიძლება მოვათავსოთ და ა.შ.	6 თვიდან ბავშვები იწყებენ სხვადასხვა მატერიებით ექსპერიმენტირებას

გარემოს და სივრცეს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისთვის, სხვადსხვა გამოცდილების მიღება, სწორედ მრავალფეროვან გარემოში ხდება შესაძლებელი. ბავშვებს სჭირდებათ უფროსები, რათა მათ მრავალფეროვანი მასალის გამოყენების საშუალება მისცენ.

როლური თამაშები

ვინ ვარ მე? ვინ მინდა, რომ ვიყო? ესეთი კითხვები როლური თამაშებისას ჩნდება და ხშირად პასუხიც გაეცემა ხოლმე. საკუთარ სქესსა და საკუთარ იდენტობაში გარკვევას ბავშვები გაუცნობიერებლად როლური თამაშებისას იწყებენ.

როლური თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
როლური თამაშისას, ბავშვები ყოველდღიურ	სოციალურ-ემოციური განვითარება; ფანტაზია, შემოქმედებითობა,	1 წლიდან

ცხოვრებას განასახიერებენ: აკეთებენ საჭმელს, ალაგებენ, მიდიან ბაზარში, ექიმთან და ა.შ.	კონფლიქტების მოგვარება, თავდაჯერებულობის განცდა: ვინ ვარ მე? ვინ მინდა, რომ ვიყო? ნეტა როგორია სხვის ადგილას ყოფნა? სხვისი როლის მორგება?	
ბავშვები სხვადსხვა როლებს ირგებენ, მაგ.: დედა, მამა, ხელოსანი, აღმზრდელი, ჯადოქარი.	ბავშვები ამ თამაშებით იწყებენ საკუთარი სქესის გამორკვევას და საკუთარი თავის იდენტიფიცირებას	3 წლიდან

როლურ თამაშში სასურველია 2-ზე მეტი ბავშვი იღებდეს მონაწილეობას. სხვადასხვა ასკისა და სქესის ბავშვებთან ერთად თამაში მრავალფეროვანი გამოცდილებას მიღების საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს.

მოტორული თამაშები

მოძრავი თამაშებიც შეგრძნებებს უკავშირდება. ბავშვები სხეულით - შეგრძნებით გამოცდილებას იღებენ, რაც საკუთარი სხეულის შეცნობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მოტორული თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
მოძრავი თამაშები, რომლებიც მიბაძვის საშუალებით ვითარდება, მაგ. გადაგდება, მოქაჩვა, გაღება, დაკეტვა, ფურცლის დაქუცმაცება, დარტყმა, ჭრა, ხატვა და ა.შ.	მსხვილი - და ნატიფი მოტორიკა; ქმედების/მოქმედების წახალისება	მიბაძვით თამაშებს ბავშვები 6 თვიდან იწყებენ. მიბაძვის საშუალებით სწავლა ზრდასრულობაშიც გრძელდება.
შინაარსიანი თამაშები, სადაც წამყვანი ადგილი მოძრაობას უჭირავს, მაგ. დაჭირობანა,	მსხვილი მოტორიკა. საკუთარი სხეულის გაცნობის საშუალება	4 წლიდან, ბავშვებს საკუთარი თავის გამოცდის და სხვებთან შედარების სურვილი უჩნდებათ.

დახუჭობანა, წრეში ბურთი და ა.შ.		

მოძრაობა ადამიანის ერთერთი მთავარი მოთხოვნილებაა. პატარა ბავშვებს არ შეუძლიათ წყნარად ჯდომა, ყოველთვის სურთ და სჭირდებათ მოძრაობა. ეს მოთხოვნილება არ უნდა შეიზღუდოს, რადგან ამ დროს ისინი არამხოლოდ თავის მოტორულ არამედ გონებრივ შესაძლებლობებსაც ავარჯიშებენ. ეს ყველაფერი ერთად კი ორგანული ბალანსის საფუძველს წარმოადგენს.

სიზარმაცე და მობეზრება ხშირად იმით არის განპირობებული, რომ ბავშვებს მოძრაობის საკმარისი საშუალება არ ეძლევათ.

მუსიკალური თამაშები

მუსიკის გარეშე ჩვენი სამყარო ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა. მასი ზემოქმედებით ადამიანი შეიძლება განიტვირთოს, გამოცოცხლდეს და გარდა ამისა ის შემოქმედებითობის საფიძველიცაა. მუსიკა და მოძრაობა ბავშვებისთვის განუყოფელ ერთობას წარმოადგენს. სულ პატარა, ეტლში მსხდომი ბავშვებსც კი მუსიკის გაგონებისას მოძრაობას იწყებენ.

მუსიკალური თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
ერთი საგნის მეორეზე დარტყმა, „საჩხარუნოების“ გამოყენება, მუსიკის მოსმენა და მოძრაობაში გადატანა. წრიული თამაშები (ზილინა), სიმღერა, ცეკვა	სოციალურ - ემოციური განვითარება: მუსიკა და ემოციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთობლივად განიცდება.	6 თვიდან მუსკიალური თამაშები მთელი ცხოვრების განმავლობაში არ კარგავენ მნიშვნელობას.

მუსიკალური თამაშები ემოციური გამოცდილებების საფუძველია. თამაშები, რომელიც მუსიკასთან არის მიბმული, ბავშვის „სხეულში“ აღიბეჭდება. და იგივე მუსიკის მოსმენისას ხელმეორედ მსგავსი ემოცია ჩნდება. ბავშვებს მუსკის მოსმენის, ცეკვის სხვადასხვა ხმების შექმნის შესაძლებლობა უნდა მიცვეთ.

განტვირთვის თამაშები

ჩუმად-ხმამაღლა, დაჭიმვა - მოშვება: ამ რიტმებით ბავშვისთვის ჯანსაღი სასწავლო კლიმატი იქნება. ბავშვები თვითონ გრძნობენ როდის ესაჭიროებათ განტვირთვის ფაზა - თვითონვე ანელებენ ქმედებას. ისინი დამოუკიდებლად იგონებენ განვირთვისთვის საჭირო თმაშებს. მაგ; სხვადასხვა ფაქტურის ნაჭრებით თამაში, ან წიგნის დათვალიერება, საკუთარ თავათან საუბარი ან წამღერება.

განტვირთვის თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
ბუშტებით თამაში, საპნის ბუშტების გაშვება, საკუთარი ფანტაზიით ზღაპრების გაგრძელება.	სხეულისა და ნერვული სისტემის განტვირთვა, შიშის დაძლევა, ყურადღების კონცენტრაცია.	ძირიათადად სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის.

უფრო ხშირად ბავშები თვითონ გრძნობენ როდის ესაჭიროებათ განტვირთვა და იგონებენ შესაბამის თამაშებს, ამისთვის საჭიროა ხელშემწყობი გარემო-პირობები ჰქონდეთ.

აღქმისა და დაკვირვების თამაშები

ბავშებს უხარიათ როცა თავიანთი დაკვირვების შესახებ საუბარის საშუალება ეძლევათ, ისინი ბევრად უფრო მეტ რამეს აღიქვაენ ვიდრე უფროსები, და დიდი სიამოვნებით უზიარებენ ამას სხვებს. დაკვირვება და აღქმა, მათ საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული დასკვნების გაკეთების საშუალებას და სამყაროს შესახებ ცოდნას აძლევს.

აღქმის და დაკვირვების	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული**

თამაშები		**მნიშვნელობა ენიჭება**
ბავშვები აკვირდებიან ხოჭოებს, ჭიანჭველებს და ა.შ.	დაკირვების და აღქმის უნარის განვითარება.	2 წლის ასაკიდან

გარემო ბავშვებს საკმარის სივრცეს უნდა აძლევდეს დაკვირვებისა და აღქმისათვის. ბავშვები ასეთ დროს დიდი ყურაღებით ეკიდებიან გარესაყაროს. ამ ტიპის თამაშები ბავშვების ცნობისმოყვარეობას ავითარებს.

თამაშები, რომელიც მყისიერ რეაქციას მოითხოვს

ესეთ თამაშებში სიამოვნებთ იღებენ მონაწილეობას ის ბავშები, რომლებმაც თავიანთი სხეული კარგად გაიცნეს და გარკვეულ გამღიზიანებლებზე რეაგირება შეუძილათ. ამ ტიპის თამაშებით კონცენტრაციის უნარი უმჯობესდება, რადგან ის, გონებით მიღებულ ინფორმაციაზე და ფიქიკურრეაქციას მოითხოვს.

„რეაქციული“ თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
გვირაბი, დაჭერობანა, ბურთით თამაში მაგ: ქალაქობანა. „სტოპობანა“, „შუქნიშანი“.	კონცენტრაციის, ყურადღების და მოტორიკის განვითარებას.	4 წლის ასაკიდან

ყველა ბავშვს რეაგირების განსხვავებული უნარი აქვს. ამ უნარის გავარჯიშება შესაძლებლია, ამ ტიპის თამაშებით. განსაკუთრებული მნიშვნელოვანია იმ ბავშვებისთვის ვისაც გაღიზიანებადობის დაბალი ზღურბლი აქვს.

ჯგუფური თამაშები

ჯგუფური თამაშების დროს ბავშვები გარკვეულ წესებს სწავლობენ, მათ შეუძიათ გამოსცადონ თავიანთი ფიზიკური და კოგნიტური უნარები, სწავლობენ თანაგრძნობასა და საკუთარი თავის მართავს.

ჯგუფური თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**

ბურთით თამაშები, სამაგიდო (ლოტო, მემო) გამოცანები, როლრი თამაშები, ახვეული თვალებით თამაშები.	სოციალური კომპეტენციები თამაშით ისწავლება და ვარჯიშდება: პატივისცემა, მადლიერება, თანაგრძნობა	4 წლიდან ბავშვებს უნდა მიეცეთ თანატოლებთან, მათზე უმცროს და უფროს ადამიანებთან ერთობლივი თამაშის საშუალება

იმისათვის რომ სოციალური კონტაქტები დაამყარონ და შეინარჩუნონ, ბავშვებმა თამაშით უნდა ისწავლონ საკუთარი მოთხოვნილებების სახელდება. უნდა გაიგონ როდის არის საჭირო დათმობა, ან პირიქით საკუთარი ინტერესების დაცვა. დემოკრატიული საფუძველის შესაქმნელად აუცილებელია ჯგუფთან თამაშის მრავალი გამოცდილება .

კონსტრუქციული და კონცენტრაციის თამაშები

კონსტრუქციული თამაშები 5 წლიდან იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ხელს უწყობს სივრცეში ორიენტაციის უნარის დასახვეწას. „ნეტავ როგორი გამოვა ჩემი კუბიკებისგან აშენებული სახლი?“ „როგორ უნდა დავლაგო საგნები ერთმანეთზე რომ სასურველი შედეგი მივიღო?“; ასეთი თამაშებით შემოქმედებითობა და გარკვეული კანონზომიერებები ერთმანეთს ერწყმის. ყველა კონსტრუქციულ თამაშს მიზანმიმართული ქმედება სჭირდება, ასე რომ კოსტრუქციული თამაშები ამავდროულად კონცენტრაციის თამაშიცაა. თავლსაჩინო შედეგი აძლევს ბავშვს თავდაჯერებულობის შეგრძნებას.

კონსტრუქციული და კონცენტრაციის თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
კუბურები, მემო, ფაზლი და ა. შ.	კონცენტრაცია და შემოქმედეითობა, კანოზომიერების/მიზეზ-შედეგობრიობის აღქმა.	5 წლის ასაკიდან

რეცეპტული და ექსპრესიული მეტყველების თამაშები

მუსიკის მოსმენის, დასურთებული წიგნების დათვალიერების ან ფილმების ნახვის შემდეგ ბავშვებს გაზიარების დიდი სურვილი უჩნდებათ. სწორედ ამ დროს შეუძლიათ მათ თავიანთი

სამეტყველო უნარების გავარჯიშება და დახვეწა. ამავდროულად მათ შეუძლიათ მოსმენილის დახატვა ან როლური თამაშებისას განსახიერება. მეტყველებას ბავშვის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ ბავშვებს მრავალი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, ემოციების, გაგმონილი თუ ნანახი ამბის, ზღაპრის, ყოველდღიური გამოცდილების გასაზიარებლად.

რეცეპტული და ექსპრესიული მეტყველების თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
დასურათებული წიგნების დათვალიერება, ზღაპრების დახატვა, მოსმენილი ზღაპრების მოყოლა, როლური თამაშები.	სამეტყველო კომპეტენციის გაფართოება, ფანტაზიის გამოყენებით ნანახისა და გაგონილის გადმოცემა.	2 წლის ასაკიდან

მეტყველება არის ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების ერთერთი საშუალება. ის აირეკლავს ბავშვის კოგნიტური განვითარებას.

სიამოვნების თამაშები

ისინი პოზიტიურ იმპულსებს აძლევენ როგორც თითოეულ ბავშვს ასევე ბავშების ჯგუფს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობის განცდისთვის. საერთო ინტერესების აღმოჩენა ჯგუფური თამაშების დროს არის შესაძლებელლი, სიამოვნების განცდა მნიშვნელოვანი ემოციური გამოცდილებაა, რომლის საშუალებითაც ხერხდება სოციალური კომპეტენციების შეძენა და განვითარება.

სიამოვნების თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
ჭიდაობა, „სულელური“ ისტორიების მოგონება, „ჭყუმპალაობა“ სასაცილო სურათების დათვალიერება ან ხატვა, არარეალური სიტყვების ან რითმების მოგონება.	სოციალურ - ემოციური სფერო, მეტყველება, მოძრაობა, რეაგირების უნარი.	3 წლის ასაკიდან, რადგან მათ მეტყველების, მოძრაობის და ერთობის განცდის მოტივაცია ჰქონდეთ.

ასეთი თამაშები განვითრების ბევრ სფეროს მოიცავს. რაც ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით მივხვდებით, რომ სწორედ ეს არის ის თამაშები, რომელშიც ბავშვები თავის თავს ავარჯიშებენ და უფრო ხშირირად განვითარების ყველა სფეროს მოიცავენ.

ამოცანა/გამოცანა თამაშები

ამოცანა/გამოცანა თამაშები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. ისინი, ააქტიურებენ მეხსიერებას და დაკვირვების უნარს.

ამოცანა/გამოცანა თამაშები	**განვითარების სფერო**	**განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება**
„რომელ ხელში მაქვს“, ზღაპრების გამოცნობა, პერსონაჟების გამოცნობა, სიტყვების გარითმვა და სხვა.	კოგნიციისა და მეტყველების განვითარება.	4 წლიდან - იმისთვის რომ საკუთარი ცოდნა გაადაამოწმოს და გაიღრმავს.

ამოცანა/გამოცანა თამაშები ბავშვებს ზოგადად ძალიან უყვართ, მათ სიამოვნებსთ საკუთარი გამოცანების მოგონება.

შეჯამება

ყველანაირ თამაშს აერთიანებს ის, რომ ისინი ბავშვებს მომავალი საზოგადობრივი ცხოვრებისთვის ამზადებს. თამაშის გარკვეული ფორმები სხვადასხვა ასაკისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ისინი მნშვნელობას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ კარგავენ. მაგალითად ნებისმიერ ინფორმაციას, უფროსებიც კი მაშინ უფრო ადვილად იღებენ, როდესაც ამ ინფორმაციის მიღების პროცესში ყველა შეგრძნების ორგანოა ჩართული. თამაშის სხვადასხვა თეორიები, დაწყებული ფროებელიდან დამთავრებული პიაჟეთი, ხაზს სუვამენ თამშის გარკვეულ ასპექტებს, მაგ: უფროსის როლის მორგება თამაშისას (ვილიამ შტერნი); ხალისით გარკვეული საქმიანობის კეთება (კარლ ბიულერი). სტრესისგან გათვისუფლების საშუალება და გამოუყენებელი ძალების გააქტიურება (ლაზარუსი); თამაში როგორც ცხოვრების სარკე (ფრიდრიხ ფროებელი) ყველა ამ თეორიაში არის ჭეშმარიტების მარცვალი თამაშის შესახებ. ბავშვის თამაშმა განათლების ასპექტში მარია მონტესორის მერე სხვადასხვაგავარად მიიქცია ყურადღება. ყველაზე კარგად თამაშის მნიშვნელობა აღწერილია მონტესორის გამონათქვამში: „დამეხმარე იმაში, რომ გავაკეთო მე თვითონ“. აქედან გამომდინარე ვხვდებით, რომ ბავშვმა

თამაშით ყველაფერი შეიძლება შეიმეცნოს, თუ კი მას საკმარისი სივრცე, დრო, შესაბამისი საგნები და საჭირო დახმარება ექნება უფროსის მხრიდან.

აღმზრდელის როლი

თუ ვაღიარებთ იმას, რომ ბავშვს შეუძლია თვითგანვითარება, მაშინ ვიფიქრებთ, რომ აღმზრდელის როლი მეორეხარისხოვანი ხდება. განვითარებას აღმზრდელი ხელს ვერ შეუშლის მაშინაც კი თუ ის ბავშის განვითარებაზე არ ზრუნავს, რაც ძალიან იმედის მომცემია. ასეთ შემთხვევაში ცუდ საბავშვო ბაღშიც კი, ბავშვს მრავალი შესაძლებლომა ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების განვითრებისთვის. მაგრამ რა შეუძლია აღმზრდელს იმისათვის რომ განათლების/განვითარების პროცესს ხელი შეუწყოს, წაახალისოს?

პირველ რიგში იგი უნდა დააკვირდეს

1. თავისუფალ თამაშზე დაკვირვება
    - რომელი ბავშვები თამაშობენ ერთმანეთთან?
    - რომელი ბავშვები თამაშობენ მარტო?
    - რომელ ბავშვს სჭირდება სხვა კონკრეტული ბავშვი თამაშის დასაწყებად?
    - რომელ ბავშვებს სჭირდებათ დიდი დრო იმისთის რომ აირჩიონ თამაში?
    - რომელ ბავშვს სჭირდეაბა წახალისება იმისთის რომ ითამაშოს?
    - რა მასალა გამოიყენება ხშირად და რა იშვიათად?
    - რა მასალის დამატება იქნება საჭირო?
    - როგორ შეიძლება არსებული მასალით თამაშის წახალისება?

დაკვირვებისას აღმზრდელი აცნობიერებს რა სჭირდებათ ბავშვებს, რა ინტერესები აქვთ მათ, როგორ და ვისთან ერთად თამაშობენ ყველაზე დიდი სიამოვნებით. ეს დაკვირვება შეუძლია გამოიყენოს თავისთის, თანამშრომლებისთვის ან მშობლებისთვის. ამასთნავე მას შეუძლია გადაწყვიტოს სად და როდის აღარ უნდა იყოს დამკვირვებებლი და როდის ესაჭიროებათ ბავშვს ან ბავშვების ჯგუფს მისი დახმარება. დაკვირვების შედეგად მას უკვე შეუძლია, ბავშვების მიყოლა თამაშისას.

2. **ბავშვის/ბავშვების მიყოლა თამაშისას**
    - აღმზრდელი ჯდება რომელიმე ცენტრში
    - აღმზრდელი იწყებს თმაშს/ხატვას/შენებას

- აღმზრდელი იღებს საჭირო მასალას
- აღმზრდელი ჯდება კონკრეტული ბავშვის გვერდით და ეკითება სურს თუ არა ბავშვს მასთან ერთად თამაში

თამაშის ასეთ ფორმას, ბავშვისთის შემხვევითობის სახე აქვს. ისინი ვერ უნდა მიხვდნენ როგორ ჩაებნენ თამაშში. როგორც კი ბავშები თვითონ იწყებენ თამაშს და მათ აღმზრდელი აღარ სჭირდებათ, აღმზრდელს შეუძია გამოეთიშოს თამაშს და განაგრძოს დაკვირვება; სხვა ბავშვების წახალისება ან მომავალი აქტივობის მოფიქრება. ხშირ შემთხვევაში შეიძლება მას ბავშვებმა სთხოვონ მათთან ერთად თამაშში ჩართვა.

3. **ბავშვთან/ბავშვებთან ერთად თამაში**
    - აღმზრდელი აკვირდება ბავშვებს თამაშისას და მათი მხრიდან შეკითხვის შემთხვევაში აძლევს წამახალისებელ მითითებებს.
    - აღმზრდელს შეუძლია თვის თავსაც მიანიჭორს რაიმე როლი.
    - აღმზრდელი ავსებს თამაშს საჭირო მასალით.
    - აღმზრდელი შეუძია წაახალისოს თამაში ასეთი ტიპის მითითებებით: მაგ: „ჩემს იხვს აეროპორტში ჩაფრენა უნდა, ე.ი. აეროპორტი უნდა ავაშენოთ, ვის აქვს იდეა?“
    - აღმზრდელი ხელს უშლის კამათის წარმოშობას ბავშვებში, ის ახალ იდეას აწოდებს ბავშვებს, თუ როგორ შეიძლება ყველა მათგანმა თავისი ფანტაზია განახოხორციელოს, მაგ: ჯგუფებად დაყოფა.
    - აღმზრდელმა ბაშვსბს ჯგუფის „გადაკეთების“ საშუალება უნდა მისცეს (მუყაოები, ნაჭრები, ყუთები)

როდესაც აღმზრდელი ბავშვებთან ერთად თამაშობს, მაშინ ის მოთამაშე პარტნიორად იქცევა, მაგრამ ამავე დროს დანარჩენ ბავშვებსაც უყურებს. აღმზრდელის ქმედებას თავისუფალი თამაშისას ასევე, გარკვეული წესები აქვს.

4. **ქმედება თავისუფალი თამაში დროს**
    - საკმარისი დროის მიცემა (30 წუთი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვებმა თმაშს „გემო გაუგონ“)
    - თვითონ აღმზრდელი თმაშში არ უნდა ჩაერიოს, გარეგნულად ის უნდა იყოს პასიური ხოლო შინაგანად აქტიური.

- ბავშვები რომლებიც თამაშში ხალისით ვერ ერთვებიან, წაახალისოს.
- ბავშვების ქმნილებები შეაქოს
- მისცეს ბავშვებს საშუალება, რომ თვითონ მართონ თამაში.
- ბავშვებს აქვთ უფლება რომ აღმზრდელი თამაშში არ ჩართონ :)

აღმზრდელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სხვა საქმით გართული, ბავშვები ყოველთვის მისი მხედველობის არეში უნდა იყვნენ.

სათამაშო ცენტრები ბაღში

ცენტრებს და მათ მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისთვის. ვისაც ერთხელ მაინც შეუხედავს საბავშო ბაღში შენიშნავდა, რომ ოთახები რაღაცით ერთმანეთს გავს. ეს ასეა და საჭიროც არის რომ ასე იყოს, გამოცდილებამ გვაჩვენა რომ ბავშვებს გარკვეული ცენტრები სჭირდებათ და მათ დანიშნულებისადმი იყენებენ. ბევრი აღმზრდელი უჩივის იმას რომ საკმარისი სივრცე არ აქვს ოთახში ცენტრების მოსაწყობად. თუ ერთ ოთახში დრამატული, კონსტრუქციული და სათამაშოების კუთხეები არის მოწყობილი ეს საკმარისი არ იქნება ბავშვებისთვის. ამიტომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია რომელიმე ცენტრი გადაკეთდეს სხვა ცეენტრად მაგ: აღმზრდელს თავისუფლად შეუძლიათ სახატავი სივრცე აქციოს საძერწ სივრცედ.

თუ ბაღს შესაძლებლობა აქვს სასურველია რამდენიმე ცენტრს ცალკე ოთახი დაუთმოს, მაგ. კონსტუცქიული ცენტრი - ოთახი ბევრი კუბიკით და სხვადასხვა „საშენი მასალით“, სადაც ბავშვები შეძლებენ დიდი ზომის კონსტრუქციების გაკეთებას ისე რომ სხვებს ხელი არ შეუშალონ. და თავიანთი აშენებული კოშკი ან სხვა რამ ასეთივე მდგომარეობაში დატოვონ.

რა კარგი იქნებოდა პაატარა ოთახი გამოგვეყო დრამატული თამაშებისთვის, ბავშვები თვითონ შეძლებდნენ მოაწყონ ის ისე, როგორც თავად სურთ, ამ ოთახში სხვადასხვა ჯგუფის ბავშები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ითამაშებდნენ, გაიცნობდნენ, იკამათებდნენ და გაერკვეოდნენ საკუთარ იდენტობაში. ამასთან ერთად კიდევ ერთ კაფეს თუ გავაკეთებდით ბავშვებისთის შემოსასვლელში ან მეორე სართულზე, რომელშიც ყველა ჯგუფის ბავშვი შეძლებდა ერთმანეთის ნახვას, მაშინ მივხვდებოდით რომ ბავშვები ბევრად უფრო კარგად გრძნობენ თანვს ჩვენ დაწესებულებაში ახლა, ვიდრე აქამდე. ასეთი ბაღი ეფუძნება იმ იდეას რომ ბავშვებისთვის არსებობს ერთი ძირითადი ჯგუფი, და გარდა ამისა სხვადასხვა დანიშნულების ოთახები სადაც სურვილისამებრ შეუძლიათ შესვლა. ბავშვებს სჭირდებათ ერთი ძირითადი ჯგუფი და ნდობით

აღჭურვილი უფროსი. ამ ორივეს არსებობა შესაძლებელია ე.წ. ღია დაწესებულებაში. ასეთ დაწესებულებაში ბავშვებს მეტის კეთება შეუძლიათ ვიდრე კლასიკურ საბავშვო ბაღში, აღმზრდელებს შეუძლიათ საკუთრ სურვილები განახორციელონ. ახალი მასალა შემოიტანონ, ბავშებთან ერთად ითამაშონ, რომლებსაც ისეთივე ინტერესები აქვთ როგორიც ჩვენ, მაშასადამე როგორი ცენტრები გვჭირდება იმისათვის რომ სააღმზრდელო -საგანმანათლებლო სივრცე წარმატებით მიმდინარეობდეს.

1. სახატავ-საძერწ ანუ შემოქმედებითი სივრცე. ბევრი მასალით: დასაწებებელი საშუალებები, სხვადასხვაგვარი ფურცლები, ნაჭრები და ძაფები და კიდევ ბევრი სხვა რამ. აქვე შეიძლება შეტანილი იქნას მასალები ცდებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ამ ყველაფრისტის კარგი იქნებოდა დიდი სივრცის არსებობა.
2. მშენებლობის ოთახი ან ცენტრი - აქ შეიძლიება განთავსდეს კუბიკები, ცხოველები, მანქანები და კარგი იქნებოდა რომ ოთახის ნახევარი დაკავებული იყოს ამ მასალებით.
3. როლური/დრამატული თამაშების ოთახი ან ცენტრი- რომელშიც იქნება: ბევრი ტანასცმელი, თოჯინები, საბეჭდი მანქანა, პირსახოცები, ბალიშები, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს ოთახი გადააქციონ, ბინად, ოფისად, მოჩვენებების საცხოვრებლად და ა.შ. ეს ოთახი შესძლებელია ბავრად უფრო პატარა იყოს ვიდრე წინა ორი, მაგ. ყოფილი საკუჭნაო შეიძლება ამისთვის გამოვიყენოთ.
4. წყნარი/ბიბლიოთკის ოთახი - არ არის აუცილებელი რომ იყოს დიდი და წიგნებთან ერთად აქ სასურველი იდოს სათამაშოები, მაგ: ლოტო, ფაზლი და ა.შ.
5. გარდა ამ ოთახებისა ბავშვებს რათქმაუნდა დაჭირდებათ ოთახი მოძრაობისთვის, მშვენივრად შეიძლება ამის მოწყობა სარდაფში, ეს ოთახი უნდა იყოს ცუდი ამინდის ალტერნატივა. ამ ოთახის ინვენტარია: სამთვლიანი ველოსიპედები და მანქანები, საცოცი ბოძები, მატრასები.
6. საბავშვო კაფე- რომელიც ბავშვებს საუზმისთვის მიიპაატიჟებს. ეს ოთახი შენობბის სადღაც შუაში უდა მდებარეობდეს და ძალინ კომფორტულად მოწყობილი უნდა იყოს.
7. სახელოსნო - მისი დანიშნულება იქნებოდა ისეთ მასალასთან ურთიერთობა როგორიცაა ხე, რკინა და სვა ბუნებრივი მასალა.

ყველა აღმზრდელი რომელიც ამ სისტემით მუშაობს, ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. განსაკუთრებით თუ ეს ოთახები მათ მიერ არის მოწყობილი და ისინი კარგად ხედავენ თუ რამდენ შესაძლებლობას აძლევს ასეთი ოთახები ბავშვს. ოთახების მოწყობისას მის ფერსაც

მნშვნელობა უნდა მივანიჭოთ, პატარა ოთახსები ნათელ ფერსში უნდა იყოს შეღებილი, უფრო დიდი კი შეიძლება ორ სხვადასხვა ფერში შევღებოთ. ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება რომ მარტო ითამაშონ ოთახში. თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენი ბაღი გადააკეთოთ ასეთ ბაღად, რათქმაუნდა ეს მთელი გუნდის და მშობლების მხარდაჭერით უნდა მოხდეს, თუ ეს ასე არ არის მუშაობა ტრადიციული ფორმით უნდა გაგრძელდეს. და ჯგუფი დაიყოს სივრცეებად. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ერთხელ მოწყობილი ჯგუფი სულ ასე უნდა დარჩეს და აღარ შეიცვალოს.

მნიშვნელოვანია ასევე საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობაც, შეიძლება ეზო ისეთ ადგილას იყოს რომ ბავშვებს ზედამხედველის გარეშე შეეძლოთ იქ თამაში, ეზო იმდენდ უსაფრთხოდ უნდა იყოს მოწყობილი რომ ბავშვებმა შეძლონ მოძრაობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გავითარების განუყოფელ ნაწილს განეკუთვნება ასევე ტყეში გასეირნება, ბუნებაში გასვლა. რაც უფრო მეტ საშულაბეას მივცემთ ბავშვევბს მით უფრო მრავალფეროვანი ხდება მათი გამოცდილება- გამოცდილება რომელიც თავისუფლად შეგვძლია სიტყვა განათლებასთან გავაიგივოთ. ის რომ გარე სივრცის მოწყობას დიდი აზრი აქვს, ბევრ აღმზრდელს ასე არ მიაჩნია, ხშირად ისინი ამბობენ რომ გარე ოთახის მოაწყობა დიდი ხარჯებს საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში კარგი იქნებოდა მშობლების ან მათი ნაცმობების სააღმზრდეოლო პროცესში ჩართვა. აღმზრდელი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ რაღაც ახალი შეიტანოს ბავშვების ცხოვრებაში. იქნებ ერთ-ერთი ბავშვის მამა რომელიც სამოდელო ნავებს აკეთებს, მოგვეწვია ბაღში და შეგვეთავაზებინა რომ ერთი დღე ბავშვებთან ერთად გააკეთოს ეს, ან დედამ რომელიც ქიმიის მასწავლებელია ბავშვებთნ ერთად პატარა ექსპერიმენტი ჩაატაროს, ან ფეხბურთის მწვრთნელმა ფეხბურთი ითამაშოს.

ბავშვებს უფროსებისგან ხშირად ესმით ასეტი გამონათქვამები "ისინი მხოლოდ თამაშობენ" ან „კარგით, წადით ეხლა ითამაშეთ" მათთვის თამაში სწავლაა, ძალიან სერიოზური და მნიშვნელოვანი ქმედება, მათ სურთ რომ ეს ქმედება უფროესბთან ერთადაც განახორციელონ. ბავშვებისთვის საკმარისი არ არის პურის მარცვლების შეგროვება, ისინი ყველა თამაშში რაღაცა მნიშბვნელობას დებენ, მაგ: ნავის გაკეთება, რომელიც შემდეგ მდინარეში შეიძლება გაუშვათ. ის, რომ მოთამაშე ბავშვები სრული სერიოზულობით უდგებიან თავიანთ ქმედებას, მათზე დაკვირვებით შეგვიძლია შევნიშნოთ. სწორედ ამიტომ უნდა მივცეთ მათ საშუალება თამაშით მრავალფეროვანი გამოცდილება მიიღონ, ამას განეკუთვნება სხვასასხვა მასალით, გამოცდილების მიღება, სხვადასხვა ადამიანი, რომელიც მათ აჩვენებს რომ უფროსები ბავშვებს პატივისცემით ეპყრობიან, და რათქმაუნდა აღმზრდელები რომლებიც იმაზე ზრუნავენ რომ

ბავშვები მრავალფეროვანი, განვითრების შესაბამისი გარემოთი და სათამაშოებით უზრუნველყონ.

(აღმზრდელებს თავიანთ დაწესებულებაში მრავალი შესაძლებლობა აქვსთ იმის რომ ბავშვები თამაში დროს წაახალისონ და ამით ახალი გამოცდილებების მიღებას ხელი შეუწყონ. მათ უნდა ჰქონდეთ დაკვირვების ძალიან კარგი უნარი. მათი მოვალეობაა ასევე, საკმარისი სათამაშო მასალით უზრუნველყობა, ასევე, ოთახების გადაქცევა ფუნქციურ სივრცეებად. და თუ ფუნქციური ოთახების გაკეთბეა შეუძლიებელია ამ შემთხვევაში ფუნქციურ ცენტრებად ერთ ოთახში. თამაშით მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების შესაძლებლობის მიცემა არა მხოლოდ აღმზრდელების არამედ, ასევე მშობლების პასუხისმგებლობაცაა. მშობლებიც დაინტერესებული არიან თავიანთი შვილების განათლებით, ეს მაშინ გამოჩნდება ხოლმე როდესაც ბავშვები უკვე სკოლაში უნდა წავიდნენ. ასევე, პოლიტიკოსებიც არ უნდა გავათავისუფლოთ თავისი წილი პასუხისმგებლობებისგან, რომლებმაც ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის რომ საგანმანათლებლო პროცესი, პირველივე წლიდან ყველასათვის ხელმისაწვდომი და ხშირად განახლებადი გახადონ. ბაღის მოწყობის საკთხები განხილურლი უნდა იქნეს ბაღში მომუშავე პირებთან. ასეთ შემთვევაში უფრო მარტივი იქნება თამაშების საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირება).